ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ. პრაქტიკული დავალების (დავალება 26) შესასრულებლად თქვენ დაგირიგდათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით! ფანქრის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ამ დავალების შესასრულებლად.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

№ 1-19 დავალების ინსტრუქცია - (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა) თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

(1) 1. რომელი კულტურის არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?

ა) მესოამერიკული;

ბ) შორეული აღმოსავლეთის;

გ) შუამდინარული;

დ) ძველეგვიპტური.

(1) **2. რომელი მხატვრული ტექნიკაა, უპირველესი, რომლის ნიმუშებიც ყველა კულტურაში, კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, იქმნებოდა და დღესაც აქტიურად მიმართავენ?**

ა) ფრესკა;

ბ) ქანდაკება;

გ) გრაფიტი;

დ) სტენსილი.

(1) **3.** **გაითვალისწინეთ სტილის თავისებურებები და თემატიკა და დაადგინეთ, ხელოვნების რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება წარმოდგენილი ფერწერული სურათი?**



ა) როკოკოს;

ბ) ნეოკლასიციზმს;

გ) რეალიზმს;

დ) რენესანსს.

(1) **4. ჩამოთვლილთაგან რომელი ნაგებობაა წარმოდგენილი ფოტოზე ზედხედით?**

ა) ატენის სიონი;

ბ) გავაზი;

გ) ნინოწმინდა;

დ) მცხეთის ჯვარი.

(1) **5. რომელი მხატვრული თავისებურებები ახასიათებს პართენონს?**

ა) იონიური ორდერის დახვეწილობა, მცირედი გამრუდება და რელიეფებით შემკული ფრიზი;

ბ) დორიული ორდერის სიმწყობრე, კურვატურა და რელიეფებით შემკული მეტოპები;

გ) დორიული და იონიური ორდერის სინთეზი და რელიეფებით შემკული ფრონტონები;

დ) დორიული სვეტები, შემკული იონიური კაპიტელებით და ხელოვნურად შექმნილი სუბსტრუქცია.

(1) **6. ძველეგვიპტური კონსერვატული კულტურის რომელი პერიოდის მახასიათებელია ოჯახური სცენების, ინდივიდუალური გარეგნული ნიშნების, წაგრძელებული თავებისა და თითების გამოსახვა?**

ა) ამარნის;

ბ) დინასტიამდელი;

გ) შუა სამეფოს;

დ) პტოლემეური.

(1) **7. რა გვარწმუნებს იმაში, რომ წარმოდგენილი ნიმუში საკურთხევლის აფსიდის კონქშია გამოსახული?**

ა) რეგისტრებად დაყოფილ კედელზე მკაცრად ფრონტალური გამოსახულებების დატანა და მათი უტრირებით გამომსახველობის გაძლიერება;

ბ) კედლის ნახევარწრიულ ზედაპირზე ფიგურათა გამოსახვის ეფექტი - თითქოს გადმოხრილი არიან წინ, რაც მათ მნიშვნელოვნებას აძლიერებს;

გ) ერთ სიბრტყეზე გამოსახული, განზოგადებული ფორმებით შექმნილი, მკაცრი ფიგურების განსხვავებული ზომები, მონუმენტურობას რომ განსაზღვრავს;

დ) კედლის ზედა მონაკვეთზე ფიგურათა გამოსახულებების განსაკუთრებული დეტალიზაცია, რაც აღქმის რეალობას და ექსპრესიას აძლიერებს.

(1) **8. რომელი დებულება გამოხატავს ყინწვისის ტაძარში თამარ მეფის ფრესკის ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში, აღმოსავლეთ მხარეს განთავსების რეალურ საფუძველს, რაც, ზოგადად, განსაზღვრული ადგილია ისტორიულ პირთა გამოსახულებებისთვის საქართველოში?**

ა) ისტორიულ პირთა ფიგურები წმინდანთა ფიგურებზე გაცილებით დიდი ზომისაა და ტექტონიკას დაქვემდებარებული იკონოგრაფიული სქემის მიხედვით, ყველაზე ფართე მონაკვეთი მნიშვნელოვანი გამოსახულებებისთვის სწორედ ამ კედელზეა;

ბ) საქართველოში შენარჩუნდა ისტორიულ პირთა პორტრეტების ტაძრის შიდა სივრცეში გამოსახვის ტრადიცია სამხრეთის ანუ მთავარი შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს, წმინდანთა თანასწორი, უმნიშვნელოვანესი ადამიანების პორტრეტების ტაძარში შესვლისთანავე აღქმის თვალსაზრისით;

გ) მე-12 საუკუნიდან საქართველოში კედლის მხატვრობა კარგავს ტექტონიკურობას და ჭადრაკისებურად ნაწილდება კედლებზე, რაც დინამიკურ, დეკორატიულ სტილს აყალიბებს და ისტორიულ პირთა პორტრეტებიც ამ ახალ სისტემას ექვემდებარება;

დ) მონუმენტურ მხატვრობას შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაჩინო ფორმა იყო. ისტორიულ პირთა გამოსახულებები, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენდა, რაც მნიშვნელოვან ადგილზე მათი განთავსების საფუძველად იქცა.

(1) **9. წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომლის ავტორია დიმიტრი შევარდნაძე?**

ა)	ბ)	გ)	დ)
			

(1) **10. რომელი თავისებურება *<u>არ მიემართება</u>* ფოვიზმს?**

ა) ინტენსიური, კონტრასტული ფერების გამოყენება ტონალური გრადაციის გარეშე;

ბ) ფორმები დაყვანილი მარტივ მოხაზულობამდე, შემოწერილი ზოგადი კონტურით;

გ) მართკუთხა მონასმების საშუალებით გამოსახულების კონსტრუირება;

დ) შუქ-ჩრდილების და პერსპექტივის გამოყენებით კომპოზიციების აგების უარყოფა.

(1) **11. რომელი ფორმულირება ასახავს განსხვავებას აბსტრაქციულ ექსპრესიონიზმსა და მინიმალიზმს შორის?**

ა) აბსტრაქციული ექსპრესიონიზმი მაყურებელს გამოსახულ ობიექტთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებას უჩენს, მაშინ როდესაც მინიმალიზმი ასახავს, თუ რას გრძნობს მხატვარი;

ბ) აბსტრაქციული ექსპრესიონიზმი გამოსახულებას მხოლოდ ერთ პლანში წარმოგვიდგენს, მაშინ როდესაც მინიმალიზმი დეტალურ და მრავალპლანიან მხატვრულ სახეს ქმნის;

გ) აბსტრაქციული ექსპრესიონიზმის მიზანია შექმნას ხელოვნება მხატვრის ემოციის გარეშე, მინიმალიზმი კი რეალისტურ მხატვრობაზე კონცენტრირდება;

დ) აბსტრაქციული ექსპრესიონიზმი მხატვრის ემოციებს გამოხატავს, მაშინ როდესაც მინიმალიზმის მიზანს გამოსახვის ობიექტის არსის წვდომა/გადმოცემა წარმოადგენს.

(1) **12.** კერამიკის თანამედროვე ნიმუშებიდან რომელია შექმნილი ეგეოსური კულტურის ინსპირაციით?

ა)

ბ)

გ)

დ)

(1) **13. ჩამოთვლილთაგან რომელი *<u>არ გამოხატავს</u>* წარმოდგენილი ნიმუშის ფუნქციას/დანიშნულებას?**

ა) უცნაური დეკორატიული ელემენტი წვიმის წყლის საწრეტი მილის ფუნქციით;

ბ) გოთიკური ტაძრის ფასადის დეკორატიული გაფორმების სისტემის ელემენტი;

გ) ავი და ბოროტი სულებისგან ქრისტიანული ტაძრის მცველი;

დ) ალეგორიული გამოსახულება, ქრისტიანული მოძღვრების მიწიერი საყრდენი.

(1) **14. ჩამოთვლილთაგან რომელი თავისებურება ახასიათებს ელინიზმისა და ბაროკოს ხელოვნებას?**

ა) ფორმათა იდეალიზაცია, წონასწორობა და კომპოზიციის დინამიკური ხასიათი;

ბ) ფორმათა დეტალიზაცია, დინამიზმი და მხატვრული სახის დრამატიზმი;

გ) ფორმათა განზოგადება, თანაბარი განათება და სიმეტრიული კომპოზიცია;

დ) ფორმათა გამომსახველობა და მხატვრული სახის განყენებული ხასიათი.



(1) **15. ეტრუსკული ქანდაკება - „აპოლონი ვეიდან'', ძველ ბერძნულ კუროსებთან სიახლოვეს ამჟღავნებს. რა ნიშანი განასხვავებს მათ?**

ა) ბერძნული ქანდაკების რეალურ ადამიანთან მიახლოებული ზომები;

ბ) ეტრუსკული ქანდაკების ენერგიული მოძრაობით გაშლა სივრცეში;

გ) ბერძნული ქანდაკების უკეთ მოდელირებული სხეული;

დ) ეტრუსკული ქანდაკების არქაული ღიმილი.

(1) **16. ყველაზე მეტად რა ნიშანით განსხვავდება კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები იბერიულისგან?**

ა) იბერიული სამკაულისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია პოლიქრომია – ზედაპირების მოსართავად ნაირფერი ქვების გამოყენება;
ბ) კოლხური სამკაულისთვის გრანულაციისა და ფილიგრანის ტექნიკის უხვი გამოყენებაა დამახასიათებელი;
გ) კოლხური სამკაული, გამოსახულებათა ხასიათით, უმეტესად ძველი აღმოსავლური კულტურის გავლენით არის შექმნილი;
დ) იბერიული სამკაულის შემქმნელები ოსტატურად იყენებდნენ ფუყე ნივთების დამზადების ტექნოლოგიას.

(1) **17. წარმოდგენილ კომპოზიციაში ძირითად მხატვრულ ხერხებს შორის რომელია <u>უპირატესი</u>?**

ა) გამოსახულებათა განმეორებით შექმნილი დინამიზმი;

ბ) ხაზის საშუალებით შექმნილი ასიმეტრიული ბალანსი;

გ) ფერის განაწილებით შექმნილი შერეული რიტმი;

დ) ტონალური გადასვლებით ძირითადის აქცენტირება.

(1) **18. რას ემსახურება კარავაჯოს ფერწერულ სურათზე - „წმინდა პეტრეს წამება“, გამოყენებული მკვეთრი განათება?**



ა) განათების ეფექტის შექმნას ემოციური ჟღერადობის გასაძლიერებლად;

ბ) დიდ ფორმატზე მცირე ელემენტების ორგანიზებას კომპოზიციური წონასწორობისათვის;

გ) ფერადოვანი გრადაციის შექმნას მოცულობის ილუზიის გასაძლიერებლად;

დ) ფორმათა განმეორებადობის აქცენტირებას რიტმული მონაცვლეობის შესაქმნელად.

(1) **19. რომელი ფორმულირება *შეესაბამება* წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობის სტილსა და თავისებურებას?**

ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერი. ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა. ვენა

ა) ეკო არქიტექტურის საინტერესო ნიმუშია, რომლის დეკორატიული გაფორმება მოულოდნელია მის ფუნქციასთან მიმართებაში;

ბ) დეკონსტრუქტივიზმის ნიმუშია, რომელიც ასიმეტრიითა და ფერადოვანი გადაწყვეტით ბაუჰაუზის არქიტექტურასთან ასოცირდება;

გ) ბიომორფიზმის ნიმუშია, გამოყენებულია ორგანული და სფერული არქიტექტურული ფორმები, რაშიც ვლინდება მოდერნის ხელოვნების გავლენა;

დ) ეკო და ბიო არქიტექტურის სინთეზმა არქიტექტორს შემოქმედებითი თავისუფლება მიანიჭა, რაც ინოვაციური სტილის საფუძველი გახდა.

№ 20-25 დავალება. ***„ჭეშმარიტია-მცდარია“***

დავალების ინსტრუქცია – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

ნიმუში:



(1) 20. არქაული ხელოვნების ქანდაკებების სტატიკური, დაჭიმული პოზების ჩანაცვლება მსუბუქი კონტრაპოსტით, ბერძნულ კლასიკურ ხანაზე გადასვლის გამომხატველი ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია.

(1) 21. იტალიური რენესანსის ეპოქის მხატვრების უმეტესობას არ აღელვებდა სურათზე ადამიანის პროპორციების ზედმიწევნით სიზუსტით გამოსახვა.

(1) **22.** სტოუნჰენჯი ნეოლითის პერიოდის მეგალითია.

(1) **23.** სახვითი ხელოვნების საშუალებებია: სტატიკა, დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა.

(1) **24.** სურათზე წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევარი სტილითა და შესრულების მანერით პოსტიმპრესიონისტ ვინსენტ ვან გოგს მიეკუთვნება.



(1) 25. ილუსტრაციაზე წარმოდგენილია ძველი ეგვიპტის ხელოვნების ნიმუში, რომელიც „მემნონის კოლოსების“ სახელით არის ცნობილი.



(7) **№ 26 დავალება.** ***პრაქტიკული სამუშაო***

ინსტრუქცია:

ფოტოებზე წარმოდგენილი საგნების - ლარნაკისა და მცენარის ტოტის (მცენარეების ნიმუშებიდან შეგიძლიათ შეარჩიოთ თითო, ან ორივე. ყველა საგნის დახატვა არ მოგეთხოვებათ) გამოყენებით, შექმენით ერთი ნატურმორტი. მოცემულობის მიხედვით კომპოზიციის შექმნისას თავისუფლება გენიჭებათ. გამოსახულება კომპოზიციური განაწილების პრინციპის გათვალისწინებით განათავსეთ სასურათე სიბრტყეზე. დაიცავით საგნების შესაბამისი პროპორციები, მიანიჭეთ მათ ფაქტურა, მოცულობა და გამოსახულებები ტონალურად განასხვავეთ; დაცემული ჩრდილების გამოსახვისას განსაზღვრეთ განათების მიმართულება. დავალება შეასრულეთ პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე.



(1) **№ 27-29 დავალება.** ***ქრონოლოგიის განსაზღვრა***

დავალების ინსტრუქცია – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვართა ნამუშევრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

(1) **27.** დაალაგეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით.			
1.	2.	3.	4.
			

(1) **28.** დაალაგეთ ქართული ქანდაკების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით.			
1.	2.	3.	4.
			

(1) **29**. დაალაგეთ საქართველოს სამუზეუმო არქიტექტურა მათი შექმნის დროის მიხედვით.			
1.	2.	3.	4.

(3) **№ 30 დავალება.** ***შესაბამისობის დადგენა.*** B ველში მოცემული სავარძლების ნიმუშები სტილურად შეუსაბამეთ A ველში მოცემულ არქიტექტურულ ნიმუშებს. გაითვალისწინეთ, ერთ ნაგებობას მხოლოდ ერთი ნიმუში შეესაბამება.

A	1.	2.	3.

B	ა.	ბ.	გ.	დ.	ე.

(3) **№ 31 დავალება.** ***შესაბამისობის დადგენა.*** შეუსაბამეთ **B** ველში წარმოდგენილი არქიტექტურული ელემენტები და ნაგებობის ტიპები **A** ველში მოცემულ მათ დასახელებებს. გაითვალისწინეთ, ერთ დასახელებას მხოლოდ ერთი ილუსტრაცია შეესაბამება.

A. 1. ცრუ კამერა	2. მასტაბა	3. ფარაონის განსასვენებელი

B.



წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.
გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.
პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(4) № 32 დავალება. ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში ჩაფიქრებულია, როგორც მითოლოგიური სიუჟეტის ინტერპრეტაცია. მოცემული სურათებიდან შეარჩიეთ ხელოვნების ერთი ნიმუში და დააკავშირეთ ის კონკრეტულ სიუჟეტთან. გააანალიზეთ ნაწარმოები და დაადგინეთ:

1. პომპეის ფრესკა

2. რემბრანდტი

3. ნანა გერასიმოვა



4. ანრი მატისი

ა. სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას თქვენ მიერ დასახელებულ სიუჟეტთან;
ბ. რომელი მხატვრული ხერხების საშუალებით გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას?

(15) **№ 33 დავალება. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი**
გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში.

შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:

(3) **33.1** აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია; რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია? მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

(3) **33.2** გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;

(3) **33.3** მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ მიმდინარეობა, დაადგინეთ, რომელი ქვეყნისა და ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

(3) **33.4** შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

(3) **33.5** იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა. შ. კონტექსტში.